

## საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი 3.0

### 1. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის აღწერა

#### 1.1. მიზნები

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის მიზანია ქვეყნის მდგრადი, დაბალანსებული, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი გამოწვევების და სოციალურ - ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით. პარიზის შეთანხმების ფარგლებში ტემპერატურის მატების 1.5°C -მდე შეზღუდვის გლობალური მცდელობების შესაბამისად, საქართველო აღიარებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით დაუყოვნებელი და ამბიციური მოქმედების საჭიროებას.

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი მოიცავს შემდეგს:

1. საქართველო იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სატბურის აირების ნეტო ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 47%-ით შეზღუდოს, ხოლო 2035 წლის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვროს 50%-ით შემცირება;
2. 2035 წლისათვის საქართველო გეგმავს კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების გაზრდითა და პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომების მეშვეობით დაახლოებით 26 მილიონი ტონა CO<sub>2</sub> ეკვ.-ის წვლილი შეიტანოს გლობალური ემისიების შემცირებაში;
3. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის გათვალისწინებით მზადდება კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რათა განისაზღვროს კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას;
4. საქართველო იღებს ვალდებულებას, ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების მობილიზებით, განაგრძოს ადაპტაციის ხარვეზებისა და ადაპტაციის შეზღუდვების შესწავლა, ასევე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და თავისი მოსახლეობის, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების ზეგავლენის მიმართ მოწყვლადი ჯგუფების, ეკონომიკური სექტორების და ეკოსისტემების ადაპტირების შესაძლებლობის შეფასება;
5. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის მე-5 თავში აღწერილი საადაპტაციო საკითხები აისახება ადაპტაციის პირველ ეროვნულ გეგმაში, რაც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის გაზრდისათვის, ტრანსფორმაციული საადაპტაციო ზომების და ინოვაციური მიდგომების განსაზღვრას;
6. საქართველო იღებს ვალდებულებას, კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტრატეგიების და ქმედებების შემუშავებისა და განხორციელებისას გამოიყენოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა (HRBA). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისას

- აღიარებული და დაცული იყოს ყველა ადამიანის უფლება, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, რომლებიც არაპროპორციულად განიცდიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენას;
7. საქართველო ისწრაფვის უზრუნველყოს სამართლიანი და ინკლუზიური გადასვლა, კლიმატის ცვლილებისა და სექტორული პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და ქმედებების განსაზღვრის პროცესში ქალისა და კაცის არსებითი თანასწორობის, სოციალური ჩართულობის, გამჭვირვალობის და სამართლიანი გადასვლის პრინციპების ინტეგრირებით;<sup>1</sup>
  8. საქართველო, ასევე, ისწრაფვის გამოავლინოს მაღალი ზეგავლენის ქვეშ მყოფი სექტორები, დარგები, ტერიტორიები, და თემები, რათა განახორციელოს სამართლიანი გადასვლის ღონისძიებები და განსაზღვროს საჭირო მხარდაჭერა, მათ შორის, შეიმუშაოს დასაქმებულთა უნარების გაუმჯობესების და გადამზადების პროგრამები, შექმნას მწვანე სამუშაო ადგილები, განახორციელოს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია ნახშირბადინტენსიურ აქტივობებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ რეგიონებში, და გააძლიეროს მოწყვლადი ჯგუფები მათზე მორგებული განათლების, შესაძლებლობების გაუმჯობესების ინიციატივების და მწვანე ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფით;
  9. საქართველო აღიარებს კლიმატ-ტექნოლოგიების განვითარების და გადმოტანის, ასევე ხელოვნური ინტელექტის, ტრანსფორმაციულ პოტენციალს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად. საქართველო მიზნად ისახავს შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატურ ინოვაციას და წახალისებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისთვის, ასევე შეისწავლის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების პოტენციალს კლიმატმედეგობის გაზრდის მიზნით, წახალისებს დაბალ ნახშირბადიან განვითარებას და უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების მობილიზების გზით;

## 1.2 მიზნების შესრულების ვადა

10. საქართველო ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესრულებას გეგმავს 2026 წლის 1 იანვრიდან 2035 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 1.3 საბაზისო წელი

---

<sup>1</sup> აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მდგრადი, დაბალემისიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი გადასვლის სარგებელზე ხელმისაწვდომობით, მოწყვლადი ჯგუფების - მათ შორის მუშებისა და სხვა დაზარალებული თემების - დაცვითა და გაძლიერებით, კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის ხელშეწყობით. ამ ძალისხმევით საქართველო გეგმავს უზრუნველყოს კლიმატთან დაკავშირებული მისი მიზნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა.

11. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის პირველი პარაგრაფის თანახმად, საბაზისო მონაცემების სახით გამოყენებულია სათბურის აირების ანთროპოგენური ემისიებისა და მათი შთანთქმის დონე 1990 წლის მდგომარეობით;
12. 1990 წლის მთლიანი ეროვნული სათბურის აირების ემისიები და მათი შთანთქმა შესაძლოა პერიოდულად გადაითვალოს, ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშ(ებ)ში მეთოდოლოგიის გაუმჯობესების შემთხვევაში;

#### 1.4 მოქმედების არეალი

13. ემისიების შეზღუდვა კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებლამდე მოიცავს და ეფუძნება ეკონომიკის შვიდი სექტორის ანალიზს, ესენია: ენერჯის წარმოება და მიწოდება, შენობები, ტრანსპორტი, მრეწველობა, ნარჩენების მართვა, სოფლის მეურნეობა და მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობა (LULUCF);
14. საქართველო გეგმავს „ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ინვენტარიზაციის“ დოკუმენტში, შეძლებისდაგვარად განაგრძოს სათბურის აირების აღრიცხვა, რომლებიც არ რეგულირდება ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმით, მათ შორისაა: ნახშირორჟანი ( $CO_2$ ), მეთანი ( $CH_4$ ), აზოტის ქვეჟანი ( $N_2O$ ), პერფტორნახშირწყალბადები (PFC), ფტორნახშირწყალბადები (HFC), გოგირდის ჰექსაფტორიდი ( $SF_6$ ) და აზოტის ტრიფტორიდი ( $NF_3$ );
15. საქართველო ასევე გეგმავს შეძლებისდაგვარად განაგრძოს მართული ტყისა და ნიადაგის ნახშირბადის მარაგის აღრიცხვა შემდეგი წყაროებიდან: მიწისზედა (ცოცხალი) ბიომასა, მიწისქვეშა (ცოცხალი) ბიომასა, ძირნაყარი ბიომასა, მერქნული ხმელი ბიომასა და ნიადაგის ორგანული ნახშირბადი;
16. კლიმატის ცვლილების ზეგავლენასთან ადაპტაცია მოიცავს ყველაზე მოწყვლად ეკონომიკის სექტორებს, ეკოსისტემებს და ბუნებრივ რესურსებს, მათ შორის და არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, ბიომრავალფეროვნებას და მის ცხელ წერტილებს მთებს, მყინვარებს, ტყეებს, წყლის ეკოსისტემებს, შავი ზღვის სანაპირო ზონას, ზედაპირულ და გრუნტის წყლების რესურსებს, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს და კულტურულ მემკვიდრეობას;
17. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების ზეგავლენაზე დაკვირვებით, გამოვლინდა შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც გადაუდებელ საადაპტაციო ღონისძიებებს საჭიროებენ: ქალები და გოგოები, ბავშვები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, ეკომიგრანტები, უმცირესობები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, დასაქმებულები - რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ექსტრემალური სიციხე, ადგილობრივ, სანაპირო და სხვა მაღალი რისკის ზონებში მცხოვრები თემები,

დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა;

18. საქართველო მხარს უჭერს მონაწილეობით მიდგომებს, რომელიც ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგიების და მოქმედებების დაგეგმვის, პროექტირების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში. აღნიშნული უზრუნველყოფს რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მრავალფეროვანი საჭიროებების საადაპტაციო ქმედებებში ასახვას;

## 2. ეროვნული გარემოებები და ინსტიტუციური მოწყობა

19. პარიზის შეთანხმების მე-13 მუხლით განსაზღვრული გამჭვირვალობის ჩარჩოს ასამოქმედებლად და მხარდასაჭერად მოდალობების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ მიღებული 18/CMA.1 გადაწყვეტილების მეორე დანართის 59-63 პარაგრაფების თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას მის ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშში წარადგინოს განახლებული ინფორმაცია ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განხორციელებასთან დაკავშირებული ეროვნული გარემოებების და ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღებით მოწყვლადი ჯგუფების, ფერმერებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიმართ.

## 3. საქართველოს კლიმატის ცვლილების გამჭვირვალობის ეროვნული ჩარჩოს შექმნა

20. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი აღიარებს ამ დოკუმენტის განხორციელებისას მიღწეულ პროგრესს, რომელიც აღწერილია ქვეყნის პირველ ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშში;
21. მე-3 და მე-5 პარაგრაფების თანახმად, საქართველო გეგმავს შექმნას ადაპტაციის და შერბილების პოლიტიკის საიმედო განმეორებითი ციკლი, მათ შორის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასების და შესწავლის ჩარჩოები;
22. საქართველო იღებს ვალდებულებას გაუმჯობესოს კლიმატის ცვლილების გამძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს დანერგვის ეროვნული პროცესი, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფორმირების და კლიმატის ცვლილების ონლაინ მონაცემების მართვის სისტემის გამჭვირვალობის ეროვნული პლატფორმის პორტალად გარდაქმნის გზით;

## 4. შერბილება

23. საქართველო მიესალმება პირველი გლობალური საერთო ანგარიშის შედეგების შესახებ 1/CMA.5 გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით დებულებებს, რომლებიც ასახულია 28-ე პარაგრაფში:

- (a), 2030 წლისთვის განახლებადი ენერჯის გლობალური სიმძლავრის გასამმაგების მოწოდება - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 24-ე და 25-ე პარაგრაფებში აღწერილ ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (b), ენერგეტიკაში ნახშირის მოხმარების ეტაპობრივი შემცირების დაჩქარება - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოყვანილ 42-ე პარაგრაფში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (c), გლობალური ძალისხმევის დაჩქარება, რათა საუკუნის შუამდე ან უფრო ადრე, დაინერგოს ნეტო ნულოვანი ემისიის ენერჯო სისტემები, რომლებიც მოიხმარს ნულოვან და დაბალნახშირბადიან საწვავს. საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 29-ე პარაგრაფში აღწერილ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (d), ენერჯო სისტემებში წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 32-ე პარაგრაფში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (e), ნულოვანი და დაბალემისიანი ტექნოლოგიების განვითარება - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 28-ე, 44-ე, 61-ე და 69-ე პარაგრაფებში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (f), 2030 წლისთვის გლობალურად არანახშირორქანგის ემისიების გამოყოფის შემცირების დაჩქარებას - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 39-ე, 42-ე, 43-ე, 63-ე, 64-ე და 65-ე პარაგრაფებში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (g), საგზაო ტრანსპორტიდან ემისიების შემცირების დაჩქარება სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის განვითარების, გზით - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 28-ე, 29-ე, 30-ე და 31-ე პარაგრაფებში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
  - (h), წიაღისეული საწვავის არაეფექტიანი სუბსიდიების ეტაპობრივი გაუქმება, რაც არ ემსახურება ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევას ან სამართლიან გადასვლას - საქართველო მხარს უჭერს ქვემოთ მოცემულ 37-ე პარაგრაფში აღწერილ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ გლობალური მიდგომის ხელშეწყობას;
24. საქართველომ, თითოეული სექტორისთვის სათბურის აირების ემისიების შესაძლო შემცირების შეფასებით, განსაზღვრა ემისიების შეზღუდვის სამიზნე მაჩვენებლები.

#### 4.1 ენერჯის გენერაცია და მიწოდება

25. 2030 წლისთვის საქართველო გეგმავს ენერჯის გენერაციის და მიწოდების სექტორიდან სათბურის აირების ემისიების 15%-ით შეზღუდვას „ლონისძიებების გატარების გარეშე“ (WOM) სცენართან შედარებით, რომელიც აღწერილია ქვეყნის ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშში (BTR). იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯის გენერაციაში განახლებადი ენერჯის წილი ამჟამად ისედაც მაღალია, საქართველო აპირებს ამავე სამიზნე მაჩვენებლის შენარჩუნებას 2035 წლისთვის;
26. საქართველო გეგმავს დეტალური კვლევის ჩატარებას, რათა განსაზღვროს პროექტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერით, კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო შეღავათიანი დაფინანსებით და ასევე, მაღალი ფასისა და მნიშვნელობის მქონე ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომები;

## 4.2 ტრანსპორტი

27. 2030 წლისთვის საქართველო გეგმავს გაზარდოს ტრანსპორტის სექტორიდან სათბურის აირების ემისიების შეზღუდვის სამიზნე მაჩვენებელი 20%-მდე „ლონისძიებების გატარების გარეშე“ (WOM) სცენართან შედარებით. 2035 წლისთვის კი საქართველო გეგმავს ტრანსპორტის სექტორის სათბურის აირების ემისიების 25%-ით შემცირებას ამავე სცენართან შედარებით;
28. საქართველო გეგმავს ხელი შეუწყოს ელექტრო მობილობის განვითარებას, რაც დაეფუძნება საქართველოში წარმოებულ დაბალნახშირბადიან ელექტროენერჯის გამოყენებას. ეს განხორციელდება ფისკალური პოლიტიკის დახვეწის და კლიმატთან დაკავშირებულ საერთაშორისო დაფინანსებაზე წვდომის გზით, რაც შესაძლებელს გახდის დაკმაყოფილდეს ელექტრო ტრანსპორტის დანერგვის დაჩქარებასთან დაკავშირებული მაღალი საინვესტიციო მოთხოვნები და თავიდან იქნას აცილებული ხანგრძლივი დამოკიდებულება ტრადიციულ სატრანსპორტო საშუალებებზე;
29. საქართველო ისწრაფვის გააგრძელოს ალტერნატიული საწვავის ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა მისი კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის გზით, რათა უზრუნველყოს საზოგადოების წვდომა შესაბამის ინფრასტრუქტურულ ქსელზე საგზაო ტრანსპორტის ალტერნატიული საწვავით დასატენად ან შესავსებად;
30. საქართველო გეგმავს განაგრძოს მუშაობა ურბანული მობილობის გაუმჯობესების მიმართულებით, მუნიციპალიტეტებში ისეთი ზომების გატარებით, რაც მიზნად ისახავს კერძო ავტომობილებით მგზავთა გადაადგილების მოთხოვნის შემცირებას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხისა და მასშტაბის გაუმჯობესებას;
31. საქართველო აღიარებს მისი, როგორც სატრანსპორტო დერეფნის მდებარეობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს ლოგისტიკის სექტორის ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს

გაუმჯობესებით, ტრანსპორტის უსაფრთხოების გაზრდით და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებსა და ქსელებში ინტეგრირებით. ძირითადი პრიორიტეტი არის საქართველოს რკინიგზის სექტორის, როგორც სატვირთო გადაზიდვების ისე მგზავრთა გადაყვანის ეფექტიანი, დაბალნახშირბადიანი შესაძლებლობის შემდგომი განვითარება;

32. საქართველო აღიარებს მილსადენით გადაზიდვებისთვის ენერჯის მოხმარების სწრაფ ზრდას, რომლის წილი შიდა ტრანსპორტის საწვავის მთლიან მოხმარებაში 2014 წელს დაფიქსირებული 6%-დან 2022 წელს 18%-მდე გაიზარდა; რაც საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ზრდის შედეგია. აქედან გამომდინარე, საქართველო აპირებს იმუშაოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ემისიები ამ ქვესექტორიდან;
33. საქართველო გეგმავს ტრანსპორტის სექტორში ყოვლისმომცველი კვლევების ჩატარებას სატრანსპორტო აქტივობების (როგორც სამგზავრო, ასევე ტვირთბრუნვის) და აქტიური სატრანსპორტო პარკის ამჟამინდელი დონის შესაფასებლად, რაც მნიშვნელოვანია შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის;
34. საქართველო გეგმავს დეტალური კვლევების ჩატარებას, რათა გამოიკვლიოს პროექტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერით, კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო შეღავათიანი დაფინანსებით და ასევე, მაღალი ფასისა და მნიშვნელობის მქონე ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელება მოითხოვს პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომების გამოყენებას;

#### 4.3 შენობები

35. 2030 წლისთვის საქართველო გეგმავს მხარი დაუჭიროს დაბალნახშირბადიანი მიდგომების გამოყენებას შენობების სექტორში, შენობების ენერგოეფექტურობის რეგულაციების აღსრულების გზით, რაც ხელს შეუწყობს ახალი შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდას;
36. საქართველო გეგმავს 2030 წლისთვის ენერგოეფექტური მიდგომებით ყოველწლიურად განაახლოს მისი ადმინისტრაციული შენობები, რათა შექმნას წარმატებული მაგალითი სამშენებლო სექტორის შემდგომი განახლებისთვის;
37. საქართველო გეგმავს განხორციელოს კომერციული შენობების სექტორის დეტალური ინვენტარიზაცია, იმ პარამეტრების შესაფასებლად, რომლებიც მნიშვნელოვანია შემარბილებელი ზემოქმედების შეფასებისა და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრისთვის (მაგალითად, გამთბარი ფართები, მოთხოვნის ტენდენციები და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის დონეები).
38. საქართველო აღიარებს, რომ გამთბარი ფართების ზრდისა და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების შედეგად, მნიშვნელოვნად იზრდება ემისიები საცხოვრებელი შენობებიდან, რაც, როგორც წესი, თან სდევს ეკონომიკურ ზრდას. საქართველო აცნობიერებს ამ სექტორში შემარბილებელი ღონისძიებების გატარების მაღალ მნიშვნელობას და სოციალურ გავლენას და გეგმავს სექტორის

დეკარბონიზაციისთვის გამოიყენოს პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომები;

#### 4.4 მრეწველობა

39. საქართველო მხარს უჭერს მრეწველობის სექტორის დაბალნახშირბადიან განვითარებას, კლიმატმეგობრული ინოვაციური ტექნოლოგიების და მომსახურებების დანერგვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით, რათა ღონისძიებების გატარების გარეშე სცენარით დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით, ემისიების არა ნაკლებ 5%-ით შეიზღუდოს 2030 წლისათვის და 8%-ით - 2035 წლისათვის;
40. აღიარებს რა, სექტორში აზოტის ქვეყანგის და ფტორნახშირწყალბადების ემისიების ზრდის ტენდენციას, საქართველო განიხილავს გადადგას ნაბიჯები, რათა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს დაბალემისიანი მიდგომების დანერგვას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში;
41. საქართველო აგრძელებს მინერალების წარმოების პროცესში ალტერნატიული, დაბალნახშირბადიანი საწვავის გამოყენების მხარდაჭერას, მათ შორის პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომებით, სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
42. მრეწველობის სექტორის დაბალემისიანი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველო პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომებით გეგმავს გამოიკვლიოს მეტალურგიასა და ქიმიურ მრეწველობაში (გარდა მე-40 პარაგრაფით განსაზღვრული აზოტის ქვეყანგის საქმიანობისა) ენერჯის ეფექტური მოხმარებისა და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების შესაძლებლობები;

#### 4.5 ნარჩენები

43. საქართველო იღებს ვალდებულებას გააძლიეროს/დააჩქაროს მუნიციპალური მყარი ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვაში მიმდინარე რეფორმები, რათა ხელი შეუწყოს დაბალნახშირბადიან განვითარებას და კლიმატმეგობრული პრაქტიკების, ინოვაციური ტექნოლოგიების და ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების დანერგვას, - მათ შორის, პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომებით გამოყენებითაც;
44. საქართველო კვლავ მხარს უჭერს ძალისხმევას შერბილების მიმართულებით, მათ შორის მუნიციპალური მყარი ნარჩენების პრევენციას, ნარჩენების სეპარაციას, კომპოსტირებას, რეციკლირებას და მეთანის აღდგენას/ამოღებას. ეს რეფორმები პრიორიტეტს ანიჭებს შესაძლებლობების განვითარების პროგრამებს, რომელიც ემსახურება მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემების გაძლიერებას, მათთვის საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურვას, რაც აუცილებელია ნარჩენების მართვის ინიციატივებში მნიშვნელოვანი მონაწილეობისა და შესაბამისი სარგებლის მისაღებად;

#### 5. ადაპტაცია



45. საქართველომ განსაზღვრა ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლები ადაპტაციის საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით მეხუთე ეროვნული შეტყობინებაზე დაყრდნობით;
46. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი ხაზს უსვამს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კრიტიკულ როლს სოციალური დაცვისათვის, კლიმატის ცვლილების ზეგავლენისგან მოსახლეობის დაცვისა და მედეგობის გაძლიერებაში. კონკრეტული ღონისძიებები მოიცავს: მიზნობრივი ფულადი დახმარების გაზრდას; სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი საარსებო პირობების შექმნას, აკავშირებს სოციალურ დაცვას ადრეული გაფრთხილების სისტემებთან ამინდის ექსტრემალური მოვლენების შედეგების შესარბილებლად, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სქემებს; გვალვაგამძლე კულტურების გავრცელებას და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების წვდომას კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგ საცხოვრისზე;
47. საქართველო გეგმავს მიზნობრივი ღონისძიებების შემუშავებით გააძლიეროს ძალისხმევა კლიმატის ცვლილების ზეგავლენის, მათ შორის ამინდის ექსტრემალური მოვლენების მიმართ მოწყვლადი ჯგუფების მედეგობისა და ადაპტირების უნარის გასაუმჯობესებლად;
48. საქართველო გეგმავს ჩაატაროს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, მთებზე, წყლისა და ტყის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემარბილებელი საადაპტაციო ღონისძიებები, ადგილობრივი მოსახლეობის მედეგობის, საარსებო წყაროებისა და ეკოსისტემის სერვისების გასაუმჯობესებლად;
49. საქართველო გეგმავს განაგრძოს კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება მყინვარებსა და მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში მათი მდგრადი გამოყენებისთვის სოფლის მეურნეობის (სარწყავი სისტემები), ენერჯის წარმოების და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის;
50. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში წარმოდგენილია ადაპტაციის წინა პერიოდის ძალისხმევიდან მიღებული გამოცდილება და განზრახვა - გაიზარდოს მედეგობა ამინდის ექსტრემალური მოვლენებისადმი, ადრეული გაფრთხილების სისტემების (EWS) მეშვეობით, რომლებიც დაფარავს მაღალი რისკის ზონებს, ასევე, გატარდეს სხვა ღონისძიებები მოწყვლად ტერიტორიებზე მცხოვრები თემების დასაცავად;
51. საქართველო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს და პარტნიორებს აქტიურად ჩაერთონ ადაპტაციის ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ ტრანსფორმაციულ საადაპტაციო ღონისძიებებში, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

## 5.1 ჯანდაცვა

52. მხედველობაში იღებს მეხუთე ეროვნულ შეტყობინებას გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ და თბურ ტალღებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების მართვის 2024-2030 წლების სამოქმედო გეგმას და შესაბამისად, საქართველო გეგმავს შექმნას თბურ ტალღებთან დაკავშირებული რისკების მართვის სისტემა;
53. საქართველო გეგმავს შეაფასოს ჯანდაცვის სისტემის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ და შეიმუშაოს ადაპტაციის ღონისძიებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, განსაკუთრებით ამინდის ექსტრემალური მოვლენების შემთხვევაში;
54. საქართველო ერთობლივად განიხილავს მოწყვლადი ჯგუფების მრავალფეროვან საჭიროებებს კლიმატის ცვლილების შედეგად ჯანმრთელობისათვის შექმნილ რისკებზე რეაგირების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული მოიცავს ჯანდაცვაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის, მედეგობის, საადაპტაციო შესაძლებლობების გაძლიერებას და ამ ჯგუფების აქტიურ ჩართულობას ჯანდაცვის ადაპტაციის სტრატეგიების დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში;
55. საქართველო გეგმავს შეაფასოს კლიმატის ცვლილება, როგორც დამატებითი რისკ-ფაქტორი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეიმუშაოს შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებები;
56. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს და პარტნიორებს, - მხარი დაუჭირონ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი ინსტიტუციებს კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობას შორის კავშირების კვლევის გაგრძელებაში;

## 5.2 ტურიზმი

57. საქართველო გეგმავს შეარბილოს ტურიზმზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენა, ყველაზე მოწყვლადი კურორტების და ადგილების საადაპტაციო შესაძლებლობების გაზრდის გზით, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურის ადაპტირებას, ტრანსფორმაციული ღონისძიებების გატარებას, რომელიც კლიმატ-მედეგ ობიექტებზე თანასწორ წვდომასა და ტურიზმის სარგებლის განაწილებას ყველა მოწყვლად ჯგუფსა და თემს შორის;

## 5.3 ბიომრავალფეროვნება

58. საქართველო გეგმავს გააუმჯობესოს ქვეყნის უნიკალური ბიომრავალფეროვნების მედეგობა და ადაპტირების უნარი კლიმატის ცვლილების მიმართ, ნაკრძალების და სხვა დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელის გაფართოების, კლიმატის ცვლილების მიმართ სახეობების და ეკოსისტემების მოწყვლადობის შეფასების და გადაშენების პირას მყოფი სახეობების და პოტენციური რეფუგიუმების კონსერვაციის ღონისძიებების გატარების გზით;

## 6. ურთიერთგადამკვეთი საკითხები

59. შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით საქართველომ განსაზღვრა ურთიერთგადამკვეთი სექტორები, კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგიასა და ადაპტაციის ეროვნულ გეგმაში მათი ჩართვისათვის, ინკლუზიურობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

### 6.1 სოფლის მეურნეობა

60. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და აგროტურიზმის წახალისების გზით;
61. საქართველო განაგრძობს ფერმერების, ასევე სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა და საშუალებების მიმწოდებლების ხელშეწყობას, დანერგონ მდგრადი პრაქტიკები, როგორცაა ნიადაგის ნულოვანი დამუშავება და კონსერვაციული მიდგომები, ქარსაცავი ზოლების აღდგენა და გაშენება, ასევე სასოფლო სამეურნეო ნარჩენების გადამუშავება. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს ხელმისაწვდომობას შესაბამის მანქანა დანადგარებზე, აღჭურვილობასა და ტექნოლოგიებზე, რაც გააჯანსაღებს ნიადაგს და სასოფლო სამეურნეო ნარჩენებს გარდაქმნის ღირებულ სასუქად. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატის ცვლილების როგორც შერბილების, ისე მასთან ადაპტაციის მიზნების მიღწევას;
62. საქართველო გეგმავს, დაეხმაროს ფერმერებს ბიზნეს მოდელების დივერსიფიცირებაში, დამატებითი ღირებულების მომტანი აქტივობების, მათ შორის, ბიო-ორგანული და სერტიფიცირების სხვა სტანდარტებთან შესაბამისობაში, ასევე აგროტურისტული სერვისების განვითარებაში;
63. საქართველო გეგმავს, ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციით წარმოქმნილი ემისიების შემცირებას, დაბალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფრო მაღალპროდუქტიული ჯიშებით ჩანაცვლების, ასევე საკვების ხარისხისა და ცხოველების კვების რაციონის გაუმჯობესების გზით;
64. საქართველო, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ფარგლებში ფერმერებს დაეხმარება შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაში და პოპულარიზაციას გაუწევს ისეთი კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვას, როგორცაა ნაკელის სეპარაცია, სწორად შენახვა და სასუქად ან ნიადაგის დანამატად გამოყენება;
65. საქართველო, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ფარგლებში, ხელს შეუწყობს სასუქის შეტანის ზუსტი ტექნიკების დანერგვას, საკვები ნივთიერებების გამოყენების ოპტიმიზაციისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების, როგორცაა აზოტის ნიადაგში ჩაჟონვის ან ჩარეცხვის, ასევე ეროზიის მინიმუმამდე შემცირების

მიზნით, ისეთი პრაქტიკების ხელშეწყობით, როგორცაა თესლბრუნვაში საფარი ან დამჭერი კულტურების ჩართვა, მცენარეული ბუფერული ზოლების დატოვება სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და წყლის ობიექტებს შორის;

66. საქართველოს თავის ვალდებულებებში პრიორიტეტს ანიჭებს მცირე ფერმერი ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების რესურსებზე თანასწორ ხელმისაწვდომობას, ტრენინგს და ფინანსურ გაძლიერებას, სოფლის მეურნეობის სექტორის ინკლუზიური და თანასწორი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

## 6.2 მიწათსარგებლობა, მიწათსარგებლობის ცვლილება და სატყეო მეურნეობა (LULUCF)

67. საქართველო ითვალისწინებს, რომ ტყეები მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის 44.5%-ს და მიზნად ისახავს ამ ტერიტორიების შენარჩუნებას და მართვას იმგვარად, რომ გაზარდოს არსებული ტყეების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ნახშირორჟანგის შთანთქმის პოტენციალი, მათ შორის 2035 წლისთვის 15%-ით გაზარდოს ნახშირბადის შთანთქმის უნარი სატყეო სექტორის მიერ 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით, მდგრადი მეტყვეობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვით, დეგრადირებული ტყის აღდგენითა და დაცული და სხვა კონსერვაციული ტერიტორიების ეკოლოგიურ ქსელში მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიების ინტეგრირებით.
68. მიმდინარე კლიმატის ცვლილების პირობებში ქვეყნის ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად, რაც პირველ რიგში გულისხმობს ტყის რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდასა და ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველო გეგმავს შეაფასოს კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის მქონე ტყის მასივები ეროვნულ დონეზე შეთანხმებული მოწყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით და საქართველოს ადაპტაციის ეროვნული გეგმის ფარგლებში დაგეგმოს მოწყვლადი ტყის მასივების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებები.
69. კლიმატის ცვლილების გლობალური მიზნის მიღწევის პროცესში წვლილის შეტანის უზრუნველსაყოფად, ბუნებრივ ტყეზე ზეწოლის შემცირებისა და ტყეების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდის მიზნით, საქართველო გეგმავს გაზარდოს პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომები, ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებებისა და სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების განვითარების მიმართულებით.
70. კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისთვის, ტყის დეგრადაციის შედეგად ემისიების შემცირებისა და ნახშირბადის მარაგების გაზრდის მიზნით საქართველო გეგმავს დანერგოს REDD+ ჩარჩო და უზრუნველყოს ეროვნული და საერთაშორისო რესურსების მობილიზება ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციის ხელშეწყობისათვის;
71. საქართველო იღებს ვალდებულებას მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 2035 წლისთვის ადადგინოს 70,000

ჰექტარი დეგრადირებული მიწის ფართობი და დამატებით გააუმჯობესოს სარწყავი სისტემები;

72. საქართველო გეგმავს შეამციროს სათბურის გაზების ემისიები სამოვრებიდან, მათი მდგრადი მართვის ხელშეწყობის გზით, რაც ითვალისწინებს როტაციულ მოვებას, დეგრადირებული სამოვრების აღდგენას და ჭარბი მოვების პრევენციისთვის სამოვრების ოპტიმალური დატვირთვის შენარჩუნებას;
73. საქართველო გეგმავს შეისწავლოს ჭარბტენიანი ტერიტორიების პოტენციური კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში, შეამციროს ასეთი ტერიტორიებიდან სათბურის აირების ემისია და გაზარდოს ნახშირბადის დაგროვების შესაძლებლობა.

### 6.3 განათლება

74. კლიმატის ცვლილების შედეგებთან ბრძოლისას, საქართველო განათლებას განიხილავს როგორც ტრანსფორმაციულ ინსტრუმენტს და ხაზგასმით აღნიშნავს კლიმატის შესახებ ინკლუზიური და თანასწორი განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ქვეყანა პრიორიტეტს ანიჭებს ახალგაზრდების, სტუდენტების, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების აქტიურ ჩართულობას ყველა საგანმანათლებლო ინიციატივაში, რათა ხელი შეეწყოს ცნობიერების ამაღლებას, მონაწილეობის გაძლიერებას და უზრუნველყოს რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლისას, არავინ დარჩეს პროცესებს მიღმა;
75. საქართველო გეგმავს გააუმჯობესოს კლიმატის ცვლილების შესახებ განათლება ფორმალური განათლების სისტემაში სკოლამდელ, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კლიმატთან დაკავშირებული თემების სხვადასხვა საგნებში ინტეგრირების გზით;
76. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი მოუწოდებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განავითარონ კლიმატის ცვლილების შესახებ განათლება და შესაბამისი საკითხების ინტეგრირება მოახდინონ პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებზე, რათა დააკმაყოფილონ მწვანე სამუშაო ადგილებზე მზარდი მოთხოვნა და უპასუხონ კლიმატთან დაკავშირებულ გამოწვევებს;
77. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული რაოდენ მნიშვნელოვანია კლიმატთან დაკავშირებული მეცნიერების წინსვლის მხარდაჭერა, შესაბამისი კვლევების დაფინანსებითა და ადგილობრივ და საერთაშორისო სტიპენდიებზე წვდომის გაუმჯობესების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კვლევასა და პოლიტიკის შემუშავებას შორის მჭიდრო თანამშრომლობას და უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას;

78. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი მოუწოდებს დამსაქმებლებს, სისტემატურად განახორციელონ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები, განსაკუთრებით მაღალნახშირბადიან სექტორებში და ხაზი გაუსვან მათ როლს კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებასა და ადაპტაციაში, ასევე დანაკარგისა და ზიანის შემთხვევებზე რეაგირებაში;
79. საქართველო მიესალმება კლიმატის ცვლილების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას არაოფიციალური განათლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და არხების გამოყენებით. ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით, ქვეყანა გეგმავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართოს ბავშვები, მოზარდები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, მედია, სათემო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები;

## 7. დანაკარგი და ზიანი

80. საქართველო აღიარებს, რომ კლიმატის ცვლილების დაჩქარება იწვევს გარდაუვალ დანაკარგსა და ზიანს, რაც არაპროპორციულად აისახება დაუცველ ჯგუფებზე, ეკოსისტემებსა და საარსებო წყაროებზე. აცნობიერებს რა სასწრაფო და ერთობლივი ქმედებების აუცილებლობას:
81. პარიზის შეთანხმების მე-13 მუხლით განსაზღვრული გამჭვირვალობის ჩარჩოს ასამოქმედებლად და მხარდასაჭერად მოდალობების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესახებ მიღებული 18/CMA.1 გადაწყვეტილების 115ბ პარაგრაფის შესაბამისად, საქართველო გეგმავს მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომელთა შედეგად ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გამჭვირვალე, ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია კლიმატის ცვლილების უარყოფით ეფექტებთან დაკავშირებული დანაკარგისა და ზიანის თავიდან აცილებასთან, მინიმუმამდე შემცირებასა და აღმოფხვრასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ;
82. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს განიხილონ დანაკარგისა და ზიანის თავიდან აცილებასთან, მინიმუმამდე შემცირებასა და აღმოფხვრასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობები.